პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

53 (1048)

1 და 2 ქართულ მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## დისკუსია ამით დავამთავროთ.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ხასიათის წერილები დისკუსიის წესით, ლეგიონის კედლის გაზეთების ლიკვიდაციის შესახებ. დისკუსიაში, ზემო-აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ნაწილების მრავალმა ამხანაგებმა—სამხედროებმა.

როგორც ვიცით სადისკუსიო წერილი ლეგ. კედლის გაზეთების ლიკვიდაციის შესახებ დაიწერა ამხ. ს. იმნაიშვილის მიერ, რომლის შემდეგ ჩვენი გაზეთის რედაქციას მოუვიდა მრავალი წერილები ადგილებიდან, როგორც ძირედ, ისე ერ-ნაწილებიდან. მიღებული წერილების დიდი ნაწილი უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ამ ჟამად კიდევ მოგვდის წერილები ამის შესახებ, რომლების ავტორნი იმეორებენ და მეორედ უბრუნდებიან იმას, რასაც ამბობდენ უკვე დაბეჭდილი წერილების ავტორები.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილების ავტორებიდან ზოგი ეთანხმებოდა ამხ. იმნაიშვილს იმაში, რომ საჭიროა ლეგიონის კედლის გაზეთის ლიკვიდაცია და ზოგიც წინააღმდეგი იყო მისი და აქვე აყენებდენ თავიანთ დებულებას და შეხედულებას ამ საკითხის შესახებ.

ჩვენ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დისკუსიამ ძლიერ კარგი შედეგები მოგვცა. ამ საკითხმა დიდი დაინტერესება გამოიწვია არამც თუ მარტო კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრებში, არამედ ნაწილებში მომუშავე პასუხისმგებელ ამხ-გებსა და სამხედრო—წითელ არმიელთა შორისაც.

ყოველივე ამის შემდეგ დისკუსია დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ. ვფიქრობთ, ეს საკითხი ყველასათვის ნათელი და გამორკვეულია, მხოლოდ საჭიროა საბოლოო დასკვნა, იმის შესახებ თუ რომელი გაზეთი საჭირო გამოდიოდეს: ლეგიონის, ათასეულის, თუ ასეულების.

კერძოდ ჩვენი გაზეთის რედაქციას ამის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანა და სიტყვის თქმა არ შეუძლია, რადგან ჩვენ ხელთ გვაქვს სამხედრო პრესის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის დადგენილება, რომელიც მოხდა გას. წლის ოქტომბერში, სადაც გარკვეულად ნათქვამია, რომ საჭიროა გამოცემა და არსებობა, როგორც ლეგიონის, ისე ასეულის კედლის გაზეთებისა. მხოლოდ ათასეულის კედლის გაზეთების გამოცემის შესახებ ხსენებულ დადგენილებაში არაფერი არაა ნათქვამი.

მაშ ვინ უნდა გადაჭრას ეს საკითხი საბოლოოთ? რომ უფრო სწორი ხაზი ავიღოთ ამ საკამათო საკითხში და გამოვიტანოთ შესაფერი დადგენილება, საჭირო იქნება საბოლოოთ ამ საკითხის გადაჭრა გადავიტანოთ სამხედროების სადივიზიო თათბირებზე, რომელიც მოწვეულ იქნება ამ დღეებში.

ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა მოვალეობა იქნება კარგად მოემზადონ და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ზემოაღნიშნულ თათბირებზე საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად.

## რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეშვიდე ყრილობა.

დღეს გაიხსნება რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეშვიდე ყრილობა, რომელიც გაუკეთებს ჯამს თავის წარსულ მუშაობას და ამასთანავე მომავალი მუშაობისათვის გამოიმუშავებს მიზანშეწონილ გეგმებს.

რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მეექვსე ყრილობაზე გამოტანილი იყო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ კომუნისტურ კავშირში რაც შეიძლება მეტი მუშა ახალგაზრდობა უნდა ყოფილიყო მიზიდული.

და მართლაც შედარებით წარსულ წლებთან—რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი საგრძნობლად გაიზარდა მუშა ახალგაზრდობის ხარჯზე.

უკანასკნელი აღრიცხვის თანახმად—სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი აერთიანებს 1.700.000 წევრს. მათ შორის 700.000 წევრი გლეხური ახალგაზრდობიდან, ხოლო მუშა ახალგაზრდობის რიცხვი კი 650.000 აღწევს. აქედან ცხადია, რომ კომუნისტურ კავშირში მუშა-ახალგაზრდობის მიზიდვა მართალია, რომ საგრძნობ ყოფილა.

მაგრამ მეორე მხრივ ისიც ცხადია, რომ ამით კიდევ არ არის მიხწეული და განხორციელებული მეექვსე ყრილობის გამოტანილი დადგენილება—რაც შეიძლება მეტი მუშა-ახალგაზრდობის მიზიდვის შესახებ.

მაშასადამე მეშვიდე ყრილობის წინაშე კვლავ წამოიჭრება საკითხი ჩვენს კავშირში, რაც შეიძლება მეტი მუშური ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ და ყრილობა ამ საკითხის გარშემო სათანადო ზომების მისაღებ დადგენილებასაც გამოიტანს.

გარდა ამისა სათანადო ყურადღება ექნება მიქცეული ამ ყრილობაზე პარტიის კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს, რადგან თუ გაძლიერებულ ხელმძღვანელობას არ ექნება ადგილი პარტიის მხრივ, მაშინ, რასაკვირველია ძნელი იქნება განხორციელება არა მარტო კომ. კავშირის მუშური ახალგაზრდობით შევსება, არამედ საერთოდ საგრძნობლად შეფერხდება კომ. კავშირის მუშაობა საკავშირო მასშტაბით.

მაგრამ აქვე ერთი მოვლენა გვსურს აღვნიშნოთ.

სახელდობრ ის, რომ კომ. კავშირის განვითარება-გაძლიერებასთან ერთად იზრდება და ვითარდება პიონერთა მოძრაობაც.

1924 წლის 1-აპრილში პიონერთა რიცხვი უდრიდა 200 ათასს. ხოლო 1925 წ. 1-ივლისში მისი რიცხვი გადიდდა 1,460.000 წევრით და ამჟამათ პიონერთა ორგანიზაციაში ითვლება 2 მილიონი წევრი. მაშასადამე პიონერთა მოძრაობის გაძლიერების საკითხი, რომელსაც ჯერ-კიდევ მეექვსე ყრილობამ მიაქცია ყურადღება—ამ ხანათ დადებითად არის გადაჭრილი.

მაგრამ მეორე მხრივ კომკავშირში პარტიულობის გაძლიერების საკითხი, ვერ არის სათანადოთ განხორციელებული და მაშასადამე მეშვიდე ყრილობამ გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგას იმისაკენ, რომ რაც შეიძლება მეტად გადიდდეს და გამრავლდეს პარტიულობა ახალ. კომუნისტური კავშირში. ამასთანავე ერთად კომკავშირის წევრების პოლიტიკური და საერთო განათლების საგნებით მომზადების საკითხიც, უფრო კარგად უნდა იქნეს მოწესრიგებული და გადაჭრილი. ხოლო ყველა ამ საკითხების სათანადოთ ცხოვრებაში განხორციელება—ვიმეორებთ, არ იქნება მიხწეული, თუ არ გაძლიერდა პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციებისადმი.

აშკარაა ყრილობა დიდ ყურადღებას მიაქცევს კომკავშირის მუშაობას წითელ არმიაში და დადებითად გადაჭრის ყველა იმ საკითხებს, რომლებიც წამოჭრილია წით. არმიაში მუშაობის მსვლელობაში.

—გ.

# ახალი რადიო ამბები

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

### ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის რეზოლიუცია.

მუშათა პარტიამ გამოიმუშავა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მეორე და მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას.

რეზოლიუციაში ნათქვამია:

„იმპერიალისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის საერთო ფრონტის შექმნის აუცილებლობის გამო სოციალისტურ ინტერნაციონალის აღმასკომმა წინადადება უნდა მისცეს მესამე ინტერნაციონალს მოიწვიონ გაერთიანებული კონფერენცია, რომელზედაც განხილულ უნდა იქნას გაერთიანებული ინტერნაციონალის შექმნის შესაძლებლობანი და სხვა“.

### ბრძოლა არაბეთში ბატონობისთვის

არაბულ გაზეთების ცნობით ახლო ხანში მოხდება გადამწყვეტი ბრძოლა იბნ-საუდსა და იმამ იახიას შორის (არაბეთის სამხრეთ დასავლეთ სახელმწიფოს—იემენის მმართველი).

ამ ორ მოწინააღმდეგეთა ჯარები უკვე შეხვდა ერთმანეთს; ამნაირად ბრძოლა არაბეთში ბატონობისთვის უკვე გადამჭრელ მომენტშია.

### პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებისთვის

7 მარტს ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც მოითხოვდა პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას. სხვა, ორატორებს შორის ილაპარაკეს პერსელმა, ჯორჯ ხიკსმა, ჯონ უიტლიმ და სხვებმა.

განსაკუთრებული ერთსულოვნობა გამოიწვია ლენსბერის სიტყვამ, რომელსაც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ათი ათასამდე კაცი:

„ჩვენ მოუწოდებთ ჯარისკაცებს, მეზღვაურებს და მფრინავებს უარჰყონ ყოველშემთხვევაში სროლა მუშების წინააღმდეგ. ჩვენ მოუწოდებთ ყველა მუშებს ნუ შევლენ კაპიტალისტურ არმიებში“.

ეს განცხადება შესანიშნავია იმით, რომ ეთანხმება დეკლარაციას, რომლის გამო პასუხისგებაში იქნენ მიცემული კომუნისტები, როგორც „შემბოხეები“.

### ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ

ამმანში (ტრანსიორდანიაში) იფეთქა ბედუინების აჯანყებამ. აჯანყების ადგილზე სასწრაფოდ გაიგზავნა ინგლისის ჯარები. მდგომარეობა, როგორც იტყობინებიან, სერიოზულია.

### შიმშილით გაფიცვები ბირმის ციხეში

ერთ კვირაზე მეტია, რაც ბირმში (ინდოეთში) შიმშილობა გამოაცხადა პოლიტ-პატიმრებმა. შიმშილობა გამოცხადებულ იქნა პროტესტის ნიშნად პატიმრებზე ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ.

### აზიის მუშათა ყრილობა

პალესტინის ებრაელ მუშათა ორგანიზაცია მიწვეულ იქნა იაპონიის პროფკავშირთა ორგანიზაციის მიერ აზიის მუშათა კონგრესზე დასასწრებლად, რომელიც მოწვეულია იაპონელების თაოსნობით და შესდგება ამ ზაფხულზე.

კონგრესზე მიწვეულ იქნებიან აგრეთვე ინდოეთის და ჩინეთის პროფკავშირები.

### ებრაული ლეგიონი.

ინგლისის ჯარების გადახალისებასთან დაკავშირებით პალესტინაში წამოყენებულ იქნა საკითხი „ებრაულ ლეგიონის“ შედგენის შესახებ, რომელიც უნდა შევიდეს ინგლისის არმიის შემადგენლობაში.

ებრაელთა წარმომადგენლების განცხადებით, ებრაული ლეგიონის შედგენა შეამსუბუქებს უმუშევრობის საკითხს.

### ბრიანი თანახმაა შეადგინოს მთავრობა.

ბრიანი პრინციპიალურად დასთანხმდა თავს იდვას მთავრობის შედგენა და აღუთქვა პრეზიდენტს, რომ საბოლოო პასუხს საღამოს მისცემს.

### ქალთა დღე ბერლინში.

ქალთა საერთაშორისო დღეს ბერლინში (გერმანიაში) გაიმართა ქალთა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა ქალთა წითელი კავშირი.

ორატორებად გამოდიოდენ აგრეთვე კოლონიალურ ხალხთა წარმომადგენლებიც.

### ერთა ლიგის საბჭოს სესიის თავმჯდომარე.

ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელი სესიის თავმჯდომარედ არჩეულია პორტუგალიის დელეგატი კოსტა.

### პროფინტერნის ცენტრ. საბჭოს მე-4 სესია

9 მარტს, საღამოს, მოსკოვში გაიხსნა პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს მეოთხე სესია. სხდომა გახსნა ამხ. ლოზოვსკიმ, რომელმაც ილაპარაკა ცენტრალურ საბჭოს ამოცანებზე.

ალმასბიუროს მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა პროფინტერნის მდივნის მოადგილე ნინი (ესპანელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომკავშირის „ნეიტრალობისა“ და „თანასწორუფლებიანობის“ შესახებ.

კომკავშირზე პარტიულ ხელმძღვანელობის სისუსტემ და პარტიულ უჯრედების უყურადღებობამ კომკავშირის მუშაობისადმი დაჰბადა კომკავშირში არა სწორ გადახრათა მთელი რიგი, რომლებსაც საბოლოო ანგარიშში შეუძლია მოსწყვიტოს კომკავშირი პარტიას.

ამ ბოლო ხანამდი კომკავშირს შორის შემჩნეული იყო მიმართულება კომკავშირის ეგრედ წოდებულ „ნეიტრალობისთვის“ პარტიის მიმართ. „ნეიტრალობის“ მომხრე კომკავშირელები თავიანთ შეხედულებას ასაბუთებდენ იმით, რომ კომკავშირში (ამბობდენ ისინი) ჯერ კიდევ ახალგაზრდებია, რომ მათთვის ჯერ კიდევ ადრეა ჩაერიონ იმ საკითხებში, რომლებსაც არჩევენ მოზრდილი პარტიულები. მათი აზრით კომკავშირი უნდა არჩევდეს საკითხებს მხოლოდ ახალგაზრდობის შესახებ და არ უნდა ეხებოდეს საერთო პარტიულ საკითხებს.

ასეთი თვალსაზრისი გამომდინარეობდა იქედან, რომ ვერ იყო სწორად გაგებული კომკავშირის როლი და მისი დამოკიდებულება პარტიასთან.

მართლაც, შეუძლია თუ არა კომკავშირს, რომელიც წარმოადგენს პარტიის გავლენის გამტარებელს უპარტიო ახალგაზრდათა შორის, იდგეს განკერძოებულად პარტიისაგან? რასაკვირველია, არა, ვინაიდან პარტიის მუშაობის გატარება ახალგაზრდათა შორის შეუძლებელია ისე, თუ კომკავშირი არ მიიღებს მონაწილეობას პარტიის მუშაობაში და არ გამოარკვევს იმ საკითხებს, რომლებიც დასახული აქვს პარტიას ახალგაზრდათა მოძრაობაში.

გარდა ამისა, თუ რომ ჩვენ ვამბობთ, რომ კომკავშირი ჩვენი ცვლაა, ცხადია, ეს იმიტომ, რომ ეს ცვლა თანდათანობით მივიზიდოთ პარტიის რიგებში, მივიზიდოთ ის პარტიის ცალკე საკითხების გარჩევაში.

პარტიამ გადაჭრით დაჰგმო „ნეიტრალური“ გადახრა და შედეგად ჩვენ გვაქვს ამ ჟამად ამ გადახრის მხოლოდ ნაშთი, რომელიც სრულიად მოსპობილ უნდა იქნას.

მაგრამ უკანასკნელ დროს, პარტიის მხრივ კომკავშირზე სუსტი ხელმძღვანელობის გამო, კომკავშირში კვლავ იჩინა თავი ახალმა გადახრამ, რომელიც კომკავშირის „ნეიტრალობის“ წინააღმდეგ აყენებს „თანასწორუფლებიანობის“ თეორიას. კომკავშირის ზოგიერთ ნაწილში „ნეიტრალობის“ წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცა „თანასწორ უფლებიანობისთვის ბრძოლად.

თუ რომ „ნეიტრალობის“ დამცველნი ფიქრობენ, რომ კომკავშირელი არ უნდა ჩაერიოს პარტიის საქმეში, „თანასწორუფლებიანობის“ დამცველების აზრით კი კომკავშირი უნდა არჩევდეს ყველა საკითხებს, რომლებიც კი წამოიჭრებიან პარტიაში. პარტია და კომკავშირი „თანასწორუფლებიანია“, ე. ი. თუ რომ პარტიას შეუძლია გაუსწოროს კომკავშირს შეცდომები, იმ შემთხვევაში კომკავშირსაც შეუძლია და ვალდებულიცაა გაუსწოროს პარტიას შეცდომები და გავლენა მოახდინოს მის პოლიტიკაზე.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობის დაშვება პარტიას არ შეუძლია. ცხადია, რომ პარტიას, რომელსაც აქვს დიდი რევოლიუციონური გამოცდილება, არ შეუძლია იხელმძღვანელოს საერთო საკითხებში კომკავშირის შეხედულებით. და, მეორეს მხრივ, კომკავშირს, რომელიც წარმოადგენს პარტიის თანაშემწეს, არ შეუძლია პრეტენზიები განაცხადოს პარტიის მოქმედებაზე, რადგან ის განსაკუთრებული ორგანიზაციის როლზე.

განსაკუთრებით საფრთხილოა კომკავშირის „თანასწორობისა“ და პარტიაზე გავლენის თეორია ამჟამად, როცა კომკავშირი იზრდება და მომავალშიაც საგრძნობლად გააგრძელებს ზრდას პროლეტარულ ელემენტების ხარჯზე.

ორივე თეორიები, პირველ ყოვლისა, ნიშანია პარტიის კომკავშირზე სუსტი ხელმძღვანელობისა და კომკავშირის მიერ პარტიის როლის ვერ გაგებისა.

პარტიის უჯრედებმა ადგილებში გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ ორივე გადახრის წინააღმდეგ. პარტმომზრდილთა გავლენის გაძლიერება, პარტიული ბირთვის გადიდება კომკავშირში, მისი პოლიტცოდნის ამაღლება,—აი საუკეთესო საშუალებანი, რომ კომკავშირი არ მოსწყდეს პარტიის მუშაობას.

პ. ბ—ვი.

## წერილი ჩეხო-სლოვაკიიდან.

### სდევნიან სიმართლისთვის.

მიღებულია წერილი საბჭოთა კავშირში ნამყოფ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრებისაგან. წერილში ნათქვამია, რომ დელეგაციის წევრები დაითხოვეს სამუშაოდან და ამორიცხეს სოც.-დემოკრატიული პარტიიდან. ამას გარდა მეპატრონეებმა აღძრეს შუამდგომლობა დელეგატების გასამართლების შესახებ. დელეგატი ვაშნიოვსკი აღნიშნავს, რომ ჩეხო-სლოვაკიის მუშებს შორის თანდათან ჰკარგავს გავლენას სოციალ-დემოკრატიული პარტია. ვაშნიოვსკი სთხოვს საბჭოთა მთავრობას დაეხმაროს უმუშევარ ჩეხო-სლოვაკებს, რომლებსაც სურთ დონის „ბასეინში“ მუშაობა.

## სამხედრო საქმე

## საბრძოლო მოქმედება.

### შეისწავლე საინჟინერო საქმე.

ჯარის ნაწილი ადგილებზე მოთავსების დროს მტრის მხარეზე გამოჰყოფენ ტალას (მოდარაჯე, დამცველი ნაწილი); ტალა შესდგება მთავარ წინააღმდეგობის და დაცვის ზოლისაგან. წინააღმდეგობის ზოლი წარმოადგენს მთავარ ზოლს, რომელზედაც ჯარები თავსდებიან იმ წესრიგზე, რომ უკუაგდოს შეტევაზე გადმოსული მტერი, ან და უკიდურეს შემთხვევაში შეაჩეროს იმდენ ხანს, რამდენიც დასჭირდება დასასვენებლად მოთავსებულ ნაწილს ბრძოლისთვის მოსამზადებლად.

დაცვის ზოლი წარმოადგენს მთელ რიგ სათვალთვალო წერტს, რომლებიც შეტევაზე გადმოსულ მტრის აღმოჩენისას ცდილობენ აიძულონ ის გაშალოს და გაამჟღავნოს თავისი მიზნები და მთავარი ძალები.

რომ სროლის დროს მოხერხებულად მოეწყონ მეომრები და შენიღბონ, დაცვის ზოლში ტარდება საინჟინერო სამუშაობა. აქ ეწყობა პატარა სანგრები მოდარაჯე ათეულებისა და ოცეულებისთვის, კეთდება ტყვიამფრქვევის ბუდეები და სხვა. ამას გარდა აკეთებენ სათვალთვალო წერტებს, აწყობენ ადგილობრივ საგნებს მოგერიებისთვის (მაგალითად: უბრალო თხრილიდან გააკეთებენ სანგარს, ხის ან მორის ძირში) ამოთხრიან პატარა სანგარს და ამრიგად ამზადებენ მეომართათვის საფარს და მოხერხებულ ადგილს (დასაყრდნობსა და სხვა) სროლისთვის.

ხანდახან (თუ რომ რჩება თავისუფალი დრო), ეწყობა ხელოვნური დაბრკოლება (მავთულ ხლართი, ხერგი და სხვა).

ყველა ამ მუშაობას აწარმოებს უშუალოდ თვით ნაწილები, რომლებიც მოთავსებული არიან მოცემულ ადგილზე; ამიტომ თვითეულ მეომარმა კარგად უნდა შეისწავლოს ბარის, თოხ-წერაქვის ხმარება, რომ სწრაფად შესძლოს თავისი პოზიციის გამაგრება, როცა ეს საჭირო იქნეს.

რაც შეეხება მთავარ წინააღმდეგობის ზოლს, აქ საინჟინერო მუშაობა უნდა იყოს უფრო ფართე. პირველ ყოვლისა უნდა გაიწმინდოს სასროლი და გასახედი არე, აგებულ იქნას სათვალთვალო წერტები, როგორც ქვეითა არტილერიის ბატარეებისთვის, ისე საჰაერო და ქიმიურ მოთვალთვალესთვის. შემდეგ აგებულ უნდა იქნას ტყვიამფრქვევების ბუდეები და ხელოვნური დაბრკოლებანი. ყველა ნაგები რაც შეიძლება კარგად უნდა იქნას შენიღბული.

მეტად სასურველია აგრეთვე გაკეთებულ იქნას ყალბი სანგრები და სათვალთვალო წერტები. მაგრამ აქ განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ადგილის ამორჩევას ყალბი სანგრებისთვის (სათვალთვალო წერტისთვის) და მოვაწყოთ ყველაფერი ისე, რომ მტერმა ვერ გაიგოს—თუ მას ატყუებენ.

საინჟინერო მუშაობის ამ მოკლე მიმოხილვიდან სჩანს, რომ თვითეული მეომარი ვალდებულია კარგად შეისწავლოს ყველა სახისა და ზომის სანგრები და შესძლოს მათი აგება სპეციალისტების—მესანგრეების დაუხმარებლად.

ი. ბ.

## არტილერიის ცხენოსან ჯგუფების მზადება.

არტილერიის ნაწილებში ზამთრის პერიოდის განმავლობაში ერთი უმნიშვნელოვანეს მუშაობათაგანი—ეს არის ცხენოსან ჯგუფების მომზადება. ეს მომზადება მდგომარეობს იმაში, რომ ცხენოსანთა ჯგუფებს უნდა შესძლოს ლაშქრული მოძრაობისა და ბრძოლის ველზე გასვლისას კარგად მოაწყოს ამუნიცია, შეკაზმულობა, ცხენზე ტვირთის შემოკვრა, შესძლოს დაბრკოლებათა გადალახვა და მუდმივ ადევნოს თვალყური ცხენთა შემადგენლობის მდგომარეობას.

საბრძოლო წესზე გაშლისა და ბატარეის მანევრის დროს ბრძოლაში, ცხენოსანთა ჯგუფს უნდა შესძლოს დისციპლინის დაცვა (არ უნდა დაუშვას ხმაურობა, ზედმეტი ლაპარაკი და სხვა), გასვლის შემდეგ ადგილ-მდებარეობასთან შეხამება და ფარულად მოთავსება (შენიღბვა).

ბატარეის ცეცხლის წარმოების დროს ცხენოსანთა ჯგუფმა უნდა დაიცვას შენიღბვისა და ქიმიური დისციპლინა (ე. ი. უნდა შესძლოს ნიღაბის კარგად და სწრაფად გაკეთება, ცხენების გაყვანა საიმედო ადგილზე იმ შემთხვევისთვის, თუ რომ მტერი შეეცდება ბატარეაზე ქიმიურ ჭურვების დაშენას).

ამასთან ცხენოსან ჯგუფს უნდა შესძლოს მიიღოს ზომები კავშირის გაბმისთვის ცეცხლის პოზიციასთან (პოზიციებთან), შესძლოს თავისუფალი დროს გამოყენება, რათა გამოასწოროს ამუნიციის დატვირთულობის ნაკლი და ყოველგვარი ზომები მიიღოს ცხენთა შემადგენლობის მოსავლელად (ფლოქვის დათვალიერება, ჭედვა და სხვა).

აი მოკლედ ის მომენტები რომლებსაც ყურადღება ექცევა ამჟამად ცხენოსანთა ჯგუფების სწავლების საქმეში.

რომ მიაღწიონ მომზადების კარგ შედეგებს და ზამთრის სწავლების პერიოდმა უქმად არ ჩაიაროს ცხენოსან-არტილერისტისთვის, მან განსაკუთრებული ყურადღებითა და ერთგულობით უნდა დაიმუშაოს ყველა ეს ზემოჩამოთვლილი მუხლები და გაიმეოროს ყველაფერი ის, რაშიაც სუსტად გრძნობს თავს.

ი. ბ.

## მუშკორთა, სოფლკორთა, სამხკორთა და ახკორთა მესამე საკავშირო თათბირისთვის.

აპრილის პირველ რიცხვში, მოსკოვში, გაზ. „პრავდასთან“ გაიხსნება მუშათა, სოფლის კორესპონდენტთა, სამხკორთა და ახკორთა თათბირი. თათბირის წინაშე სდგას მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხებისა, რომელთა სწორი გადაჭრა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მოძრაობის შემდეგ ზრდასა და განვითარებას.

ამ საკითხთა შორის უმთავრესი საკითხია უფრო სწორი, ნორმალური ურთიერთობის დამყარება პარტიის, გაზეთების რედაქციებსა და მუშათა და სოფლის კორესპონდენტებ შორის. ეს საკითხი არ ახალია და თათბირის დღის წესრიგში მისი დაყენებით ჩვენ არ ვფიქრობთ „რაიმე ახალის“ შემოღებას იმ გადაწყვეტილებებთან შედარებით, რომლებიც მიღებული იქნა მეორე საკავშირო თათბირზე. საქმე ეხება აქ არა პრინციპიალური ხაზის გამომუშავებას, რომელიც უკვე დასახულია, არამედ ზომებს, რომლებიც მიმართული არიან ამ ხაზის სისწორით და პრაქტიკულად გატარებისაკენ.

უკანასკნელი წლის მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სიძნელენი, რომლებიც ზოგან აფერხებდა მოძრაობას, წარმოსდგებოდენ იმის გამო, რომ პარტმომუშავეები ვერ იცნობდენ სათანადოდ კორესპონდენტთა მოძრაობის პრინციპებსა და მათთან დაკავშირებით პარტიის გადაწყვეტილებებს.

მაგრამ საერთოდ რომ ავიღოთ, მოძრაობა ძლიერი და საღია, ის თანდათან იზრდება, იზიდავს გაზეთების თანამშრომლობაში და აქედან ჩვენი აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგში მუშებისა და გლეხების ფართე ფენებს.

ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: კორესპონდენტთა რიცხვი 1924 წლის დასასრულში უდრიდა ასიათას კაცს, 1925 წ. ოქტომბერში ის ავიდა 216 ათას კაცამდი.

მით უფრო მეტი მოთხოვნილება ეკისრება მოძრაობაში მომუშავეებს, განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კორესპონდენტთა მუშაობას. საჭიროა, რათა ამ დარგშიაც გამოიჩინონ მათ იმდენი ცოდნა და უნარი, როგორც ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაობის სხვა დარგებში.

თათბირმა ჯამი უნდა გაუკეთოს გამოცდილებებს, მისცეს ნათელი და კონკრეტი მითითებანი მოძრაობის ხელმძღვანელობაში, დასახოს კორესპონდენტთა ლიტერატურის გაუმჯობესების ზომები და სხვა და სხვა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ერთის მხრივ კედლის გაზეთების სწორად დაყენების საკითხი და მეორეს მხრივ ურთიერთ დამოკიდებულება გაზეთსა და ადმინისტრაცია—სამნეო განყოფილების მუშაკებს შორის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რათა კორესპონდენტის არც ერთი ცნობა, რომელსაც შეაქვს ესა თუ ის პრაქტიკული წინადადება, ან და მიუთითებს რაიმე არანორმალობაზე, არ რჩებოდეს პასუხის გაუცემლად ვისგანაც ჯერ არს. კორესპონდენტის მუშაობა რა უნდა რჩებოდეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, არც უნდა იწვევდეს მტრულ დამოკიდებულებას, არამედ უნდა სწარმოებდეს შეთანხმებულად საერთო ფრონტზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნულ საკითხებთან მჭიდრო კავშირშია აგრეთვე საკითხი კორესპონდენტთა მუშაობის, კორესპონდენტთა სწავლების სწორი დაყენების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ და სხვა.

თათბირის დღის წესრიგში სდგას საკითხი აგრეთვე სოფლის კორესპონდენტების შესახებ. მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა არმია უნდა იბრძოდეს ერთიანი ფრონტით. როგორც ერთის, ისე მეორის მუშაობის პრინციპი ერთია, ხოლო განსხვავება ისაა, რომ სოფლის კორესპონდენტი უფრო ახალგაზრდაა.

ამას გარდა წინა თათბირზე დასახულ იქნა ახალი გზები საერთაშორისო მუშკორთა კავშირის დაარსებისა. მუშკორთა მოძრაობა საგრძნობლად გაიზარდა გასულ პერიოდში დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში და საკითხი საბჭოთა კავშირის მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან კავშირისა, ურთიერთ ინფორმაციისა და გამოცდილების აღრიცხვის შესახებ უფრო მწვავედ სდგება მესამე საკავშირო თათბირის წინაშე.

მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის გვერდით იზრდება სამხკორთა, ახკორთა და ბავშკორთა მოძრაობა. ჩვენი მოძრაობის ამ დარგების საკითხი მეტად დაკვირვებულ ყურადღებას მოითხოვს.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სამხკორებს, რომელთა მუშაობა მიმდინარეობს განსაკუთრებულ პირობებში და რომლებიც ყაზარმაშიც და იქედან გამოსვლის შემდეგაც წარმოადგენენ კულტურის, განათლების გამტარებლებს სოფლისა და ქალაქის მასებ შორის.

ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ ის საკითხი, რომელიც უნდა გაარჩიოს თათბირმა. მაგრამ რამდენადაც კარგად და ენერგიულად დაამუშავებენ ამ საკითხებს კორესპონდენტთა ადგილობრივი ორგანიზაციები, რაც უფრო ცოცხლად გაიმართება ძათი მსჯელობა გაზეთის ფურცლებზე, მით უფრო მეტი შანსები იქნება, რომ მესამე საკავშირო თათბირი უფრო სწორ გადაწყვეტილებებს გამოიტანს აღნიშნულ საკითხების შესახებ.

მ. ულიანოვა.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ.

1-ლი ქარ. მ. რ. ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ამჟამად ჩამოყალიბებულია ათი კომუჯრედი.

კრებები კომუჯრედებში მიმდინარეობს სისტემატიურად, რომელსაც ესწრებიან სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

და სამოქალაქო ორგანიზაციებისა ჩვენს ლეგიონს კავშირი აქვს ახლო მდებარე სოფ. დიღომთან, სადაც სისტემატიურად იგზავნება ჩვენი წარმომადგენლები კრებაზე დასასწრებლად და მოხსენებების გასაკეთებლად. აქ იგზავნება აგრეთვე ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები.

ვცდილობთ დავაახლოვოთ სოფლის გლეხობა ჩვენს ყოფა ცხოვრებასთან.

ბიურო-კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს უჯრედებს ამ საქმეში საერთო დირექტივების მიცემით.

ეს საუკეთესოდ დაამტკიცა მან სოფელ დიღომზე დახმარებით.

ვუსურვებთ ჩვენს ბიურო-კოლექტივს მომავალში უფრო გააღრმავებინოს თავისი მუშაობა საშეფო სოფელში.

სამხედრო ა. დეისაძე.

## ᲩᲕᲔᲜᲪ ᲕᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲗ, ᲕᲚᲝᲜᲘᲔᲠᲓᲔᲑᲘᲗ.

3-ე ლეგიონი.

ამ ჟამად ლეგიონში არსებობს 11 კომუჯრედი, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან სამოქალაქო პარტორგანიზაციებთან. ყველა უჯრედები უშვებენ ასეულებში კედლის გაზეთებს, რომლებშიდაც ფართედ შუქდება პარტ და ასეულის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა. ლენინის კუთხეების ხელმძღვანელებს კომუჯრედები უშუალო ხელმძღვანელობას უწევენ მუშაობის გეგმების გამომუშავებაში.

უჯრედების წარმომადგენლები მიმაგრებული არიან რუსულ ართლეგიონთან სათანადო გამოცდების მისაღებათ.

პარტორგანიზაცია შესაფერ ყურადღებას აქცევს აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობას ლეგიონში. ეწევა შესაფერ აგიტაციას წითელ არმიელებში და მოუწოდებს მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ლეგიონში არსებულ წრეების მუშაობაში.

ჯერ-ჯერობით ლეგიონში ამუშავებულია პოლიტწრე, ლიტერატურული, დრამატიული, სპორტიული, მონადირეთა, მსროლელთა და სხვა.

სამხედრო გოგიტიშვილი.

## ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲔᲑᲘᲪ ᲓᲘᲓ ᲐᲥᲢᲘᲝᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲜᲔᲜ.

5-თე ლეგ. პარტსკოლა.

დიდი ხანი არ არის რაც ლეგიონში ჩამოყალიბდა პარტიული სკოლა, რომელშიდაც ჯერ ჯერობით 38 წევრია. მეცადინეობა მიმდინარეობს შემდეგი სისტემით: ხელმძღვანელი საუბრის შემდეგ მისცემს რომელიმე მსმენელს ერთ თემას, რომელსაც უკანასკნელი ამზადებს და გამოაქვს რეფერატის სახით მსმენელებში. მოხსენების გარშემო იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ ხელმძღვანელი ამბობს თავის აზრს და მიუთითებს მომხსენებელს თუ რაიმე გაუგებრობა შეამჩნია სხვა და სხვა საკითხების განმარტებაში. ამნაირად მეცადინეობა ყოველთვის ხალისიანათ მიმდინარეობს. სკოლა დღითიდღე იკრებს თვის გარშემო მსმენელთა რიცხვს. დაინტერესებული არიან აგრეთვე უპარტიო ამხანაგებიც, რომლებსაც საშვალებას ვაძლევთ იმუშაონ ჩვენთან და დიდ აქტივობასაც იჩენენ. ამ ახლო ხანში დავამთავრებთ სკოლის მთელ პროგრამას.

სამხედრო მ. ქყონია.

## ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲗ ᲚᲔᲜᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ

სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

დიდი ხანი არ არის რაც სკოლაში მოვაწყვეთ ლენინის კუთხე, რაშიდაც უახლოეს მონაწილეობას ღებულობენ ყველა კურსანტები. ამხანაგები დაიყვნენ ჯგუფებათ და ცალცალკე შეუდგნენ კუთხეებში ჩამოყალიბებულ თითეული განყოფილების გამშვენიერებას. კუთხეებში ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბებულია შემდეგი განყოფილებები: პოლიტიკური, სამხედრო, ფიზიკური და მხატვრული. თუმცა ყველა კუთხეებისათვის არა გვაქვს ლიტერატურა ქართულად, მაგრამ იმედია შევსძლევთ ახლო მომავალში.

საერთოდ ლენინის კუთხე მდიდარია სხვა და სხვა ხასიათის ლიტერატურით. ხშირად გვნახულობენ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ათვალიერებენ კუთხეს, რაც მათ ძლიერ აკმაყოფილებს.

სამხედრო გ. ჩიტიაშვილი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

## ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ.

5 თე ლეგ. 2-რე ათასეული.

6 მარტს, მეორე შეკრებისათვის უკლებლად გამოცხადდენ ყველა ცვალებადელები. დილის ექვსი საათიდან უკვე შეუდექით მათთან მეცადინეობას. სამხედრო საქმეს, წყობილებაში გავლას და სხვას დიდი ხალისით ასრულებდენ. წარმატებით იქნა ჩატარებული აგრეთვე პოლიტ და სამხედრო საათები.

შეკრებამ სრულიად გაამართლა მიზანი. უნდა ვიფიქროთ, რომ საჭიროების დროს, საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახილისთანავე სწრაფად დადგებიან ფეხზე ამხანაგები. არც გავლილი ნამეცადინევი ჰქონდათ ამხანაგებს დავიწყებული. ყველა თავისუფლად ასრულებდენ მეცადინეობაში ყველა ნომრებს. სულიერი განწყობილება ამხანაგებში მოლოდინს აჭარბებს. ერთმანეთთან ასე დაახლოვება და გაცნობა მეტის მეტად სასიამოვნოა.

მეცადინეობის დასრულების შემდეგ გაიმართა გამოსათხოვარი მიტინგი. ამხანაგებმა ფიცი დასდვეს, რომ ასევე ერთსულოვნათ მოვლენ ყველა შეკრებაზე და ეცდებიან კიდევ უფრო გააღრმავონ თავისი ცოდნა.

სამხედრო ვ. ნოზაძე.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲜ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ 2-ᲠᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲡ.

4-ხე ლეგ. წითელი ქალაქის წერტი.

ცვალებადელთა მეორე მოკლე ვადიანი შეკრება დიდი სიხალისით ჩატარდა. 6 მარტს დილიდანვე იწყეს წერტებზე მოსვლა ცვალებადელებმა. მოდიოდენ სხვა და სხვა სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად, წითელი დროშებით, სიმღერით. რამოდენიმე საათის განმავლობაში უკვე შეგროვილი იყო მთელი შემადგენლობა. ბრძანების თანახმად შეუდექით მეცადინეობას, რომელიც იშვიათი მონდომებითა და ინტერესით სრულდებოდა ამხანაგების მიერ.

ამავე დღეს შუადღისას გახსნილი იქა საზეიმო კრება წერტის წვევამდელთა მეცადინეობის დასრულების გამო.

სიტყვებით გამოვიდენ ასეულის მეთაურები, პოლიტხელი და წითელ არმიელები, რომლებიც მოუწოდებდენ წვევამდელებს: არ დაივიწყონ მიღებული ცოდნა, კიდევ უფრო გააღრმავონ ის, დაიჭირონ კავშირი სამხედრო ნაწილებთან და მტკიცედ შეასრულონ ყველა დავალებები.

კრების შემდეგ მოეწყო წვევამდელების გაცილება.

მეორე დღეს ცვალებადელები ისევ ენერგიულად შეუდგენ მეცადინეობას. თავისუფალ საათებს ამხანაგები გაზეთების კითხვასა და მხიარულებაში ატარებდენ. ამავე დღეს გვესტუმრა ლეგიონის თავი ამხ. ბელოვი, რომელიც დიდ ხანს ესაუბრა ცვალებადელებს სხვა და სხვა საკითხების გარშემო, შემდეგ კი დაესწრო მათ მეცადინეობასაც, რომაც საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მოკლე ვადიანი შეკრებები საერთოდ აჭარბებენ იმედებს. გაცილებით მეტ შედეგებს ვღებულობთ, ვიდრე მოველოდით, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს ტერსისტემის მნიშვნელობას.

სამხედრო ა. ქინქლაძე.

## 6-ᲡᲔ ᲚᲔᲒ. ᲚᲘᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲘ.

ცვალებადელთა პირველი შეკრება წარმატებით ჩატარდა ჩვენს წერტზე. ჯერ კიდევ მიწვევის დღესვე თხოულობდენ ამხანაგები ნაწილში წასვლას, ხოლო დანიშნული დღისათვის კი ყველა ადრე გამოცხადდენ. ადგილობრივ წვევამდელებთან ერთად ჩატარებული იქნა საზეიმო მიტინგი. ილაპარაკეს თუ, რა მნიშვნელობა აქვს მოკლე ვადიან შეკრებას და რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას. წვევამდელებთანვე მოეწყო ცვალებადელების მეცადინეობა, რის შემდეგ მონაწილეობა მივიღეთ აღლუმზე 25 თებერვლის დღესასწაულის ჩატარებაში. ადგილობრივი მცხოვრებლები მხურვალე ტაშით ხვდებოდენ ცვალებადელებს.

მეორე შეკრება განზრახულია უფრო ფართო მასშტაბით მოეწყოს.

სამხედრო გ. ნანუაშვილი.

## ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲡᲗᲐᲜ.

7 მარტს ქართ. ცხენოსანი ლეგიონი გაემგზავრა მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში, კურსანტებთან შეჯიბრის მოსაწყობათ.

მისვლისას დავათვალიერეთ კურსანტების საცხოვრებელი ბინები და გავეცანით მათ ცხოვრებასა და მუშაობას, რის შემდეგ გაიმართა შეჯიბრი სროლაში, რბენაში, ხტომაში, და სხვა.

დასასრულ ჯირითიც მოეწყო, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

კარგი იქნება ნაწილის უფროსები ხშირად მოაწყობდენ ასეთ ექსკურსიებს სხვა და სხვა ნაწილებში, რითაც ადვილად შეიძლება ერთმანეთთან დაახლოება და ნაწილების მიღწევების ურთიერთისადმი გაცნობა.

სამხედრო პეტრე კახიძე.

## ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

### ᲛᲐᲚᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲕᲔᲑᲗ.

1-ლი ლეგიონი

გასულ წლებთან შედარებით, წელს ლეგიონში ძლიერ გაუმჯობესდა ფიზკულტურის საქმე. მართალია გასულ წლებშიც გვიხდებოდა რუსულ და სხვა ქართულ ნაწილებთან შეჯიბრი სხვა და სხვ დარგებში და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით, მაგრამ წელს ლეგიონის მომზადებამ ამ დარგში მოლოდინს გადააჭარბა. ერთად ერთი— ლეგიონში მოისუსტებს ფეხ-ბურთელთა წრე, მაგრამ ამასაც თავის დროზე მიექცა უფროსებისაგან შესაფერი ყურადღება და აქაც დიდი მიღწევების წინაშე დავდექით. ჩვენმა ფეხბურთელთა წრემ სამჯერ აჯობა თბილისის გარნიზონში პირველ ადგილზე მდგარ 21-თე სკოლის ფეხბურთელთა წრეს და მით დაიკავა გარნიზონში პირველი ადგილი.

საერთო საგარნიზონო შეჯიბრის დროს სროლაში ლეგიონმა პირველი ადგილი დაიკავა. ასევე მოხდა სხვა დარგებშიდაც.

ამნაირად ნაწილი ენერგიულად ემზადება არმიის მეექვსე ოლიმპიადისათვის.

სამხედრო ვაშაკიძე.

## ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ.

3-ე ლეგიონი.

ნაწილში აღრიანად დაიწყო მზადება ქალთა დღესასწაულის შესახვედრად. მთელი ლეგიონის შემადგენლობა სიხარულით ეგებ ბოდა ამ დიად დღეს. დივიზიიდან გადმოგზავნილი ცირკულიარის თანახმად ტარდებოდა საუბრები და ხმამაღალი კითხვა დღესასწაულის შესახებ, როგორც პოლიტსაათებზე, ისე საღამოობითაც ლენ-კუთხეებში.

კვირას 7 მარტს ლეგიონის კლუბში იქნა მოწვეული საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ლეგიონის შემადგენლობასთან ერთად სამოქალაქო ორგანიზაციებიდანაც. ამათ მორის ორი ქალი ქალთა ორგანიზაციების სახელით.

პირველად მოხსენებით გამოვიდა ნაწილის უფროსი პოლიტხელი. შემდეგ ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავთავიანთი აზრი ამ დღესასწაულის შესახებ, რის შემდეგ გაიმართა საღამო.

მონაწილეობას ღებულობდენ სამოქალაქო ორგანიზაციებიდანაც.

სამხედრო ბ. იოსელიანი.

## ᲕᲐᲬᲧᲝᲑᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ.

მეთაურთა სკოლის სამნეო გუნდი.

სკოლის სამწყობრო და სამნეო გუნდს გვაქვს ერთი საერთო ლენინის კუთხე, რომელიც სრულიად არ იყო მოწყობილი შესაფერისად. ბევრჯერ ვსთხოვეთ სკოლის კლუბს დაგვხმარებოდა კუთხის მოწყობაში, მაგრამ ყურადღება არ გვექცეოდა და დღემდე მოუწყობელი იყო ლენინის კუთხე, სანამ ნაწილის რამოდენიმე წითელარმიელებმა არ მიაქციეს მას ყურადღება და თავისი საკუთარი შრომით ნაშოვნი 50 მანეთი არ შესწირეს კუთხეს. გამოვყავით სპეციალური კომისია, რომელიც შეუდგა სხვა და სხვა საგნების ყიდვას კუთხის საჭიროებისათვის.

ფულის შემომწირველ წითელარმიელებს დიდ მადლობას სწირავს, როგორც დანარჩენი წითელარმიელები, ისე ნაწილის მეთაურები.

კუთხეში კიდევ არის შესაძენი მაგიდები, მაგრამ ყველა ამისთვის წითელარმიელებისაგან შემოწირული თანხა არ იკმარებს. საჭიროა სკოლის კლუბი მოგვაქცევდეს ყურადღებას და შეგვიძენიებდეს მაგიდებს.

სამხედრო ამ. კვიკვიძე.

## ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ჩვენს ლეგიონის სკოლაში ძლიერ კარგი დამოკიდებულება არსებობს წითელ არმიელებსა და მეთაურებს შორის.

თავისუფალ საათებში ამხანაგები სულ წითელ არმიელებთან იმყოფებიან და ატარებენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს. მეთაურებისავე თაოსნობით სკოლაში მოწყობილი იქნა კურსანტთა სასადილო ორასი კაცისათვის, რამაც ძლიერ გაგვიადვილა მეცადინეობა, რადგან ლეგიონში სიარულისათვის დროს აღარ ვკარგავთ. მადლობა ასეთ აღმზრდელებს.

(მე-2 ლეგიონი) სამხედრო აგლაძე.

მე-2 ლეგიონის მეორე ასეულში გვყავს მეთაური ამხ. ზარქუა, რომელიც დიდი მზრუნველობით ეკიდება წითელ არმიელებს. თავისუფალ საათებშიდაც მოდის ამხანაგი ჩვენთან და გვასწავლის თოფებსა და ტყვიამფრქვევებზე მუშაობას. წითელ არმიელებს ამხანაგის ასეთი მოქმედება ძლიერ უადვილებს მეცადინეობას, რისთვისაც უღრმეს მადლობას უცხადებთ მას.

სამხედრო ი. პატაშური.

# მოსკეთ ნაკლულევანებანი

2-რე ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს საათი. გუშაგების გამოცვლა ვერ ხდება თავის დროზე, რის ნიადაგზე ხშირია მათ შორის უკმაყოფილება. ზოგიერთებს მალე სცვლიან და ზოგი კი გამოცვლას ვეღარ ესწრება. ყველა სამუშაოები განაწილებულია საათობით ლეგიონში, მაგრამ სინამდვილეში ეს ვერ ხერხდება უსაათობის გამო. დროა მოგვცენ ერთი საათი და წესიერ კალაპოტში ჩადგეს მეცადინეობისა და განწესების საქმე.

წ. არმ. გ. ნატრაშვილი.

2-რე ლეგიონის ცხენოსან მზვერავ გუნდში ეხლაც არიან ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც ჯერაც არ მიუღიათ მაზარები. ლეგიონში ყველა ნაწილები იქნა ასეთებით დაკმაყოფილებული, და რად არ გვაქცევენ ჩვენ ყურადღებას გასაკვირია. ზოგიერთი ამხანაგები დაავადმყოფდენ და ქსენონში წვანან. სამნეო ნაწილო მოგვაქციე ყურადღება, გვიხსენი გაციებისაგან და მოგვეცი ჩვენი ხვედრი მაზარები.

წ. არმ. ყოფილი მალაროს მუშა.

თბილისის სამხედრო გოსპიტლის ვენერიულ განყოფილებაში ნაკლები ყურადღება ექცევა ავადმყოფებს. არის შემთხვევები, რომ ავადმყოფი დაავალებს მოწყალე დას რომ ის ინახულოს ექიმმა, მაგრამ დავალება დავალებად რჩება და ისე გადის რამოდენიმე დღეები, რომ ავადმყოფს არავინ ნახულობს. ამ ნიადაგზე ხშირად ადგილი ჰქონია ავადმყოფებში გულის მოსვლას ნერვიულობას, და ამტვრევენ რაც კი მოხვდებათ ხელში. არ ვიცი რად არ ექცევა ამას ყურადღება ვისგანაც ჯერ არს?

კურსანტი ხაბურზანია.

3-მე ლეგიონის ეზოში ხშირად იკრიბებიან მახლობელ მცხოვრებლების ბავშვები და მთელი დღის განმავლობაში საშინელი აურზაური და ხმაურობაა. შეუძლებელია თავისუფლად გავლა ეზოში. ამას გარდა ბავშვები ხშირად წითელ არმიელებსაც სტყუებენ რაღაც-რაღაცებს. საკვირველია რატომ ყურადღებას არ აქცევს ამას ლეგიონის კომენდანტი და არ აუკრძალავს ბავშვებს ლეგიონის ეზოში ჟრიამულს? უცდით განკარგულებას.

სამხკორი იოსელიანი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# კინო სურათი „გამოფენა“.

ამ.-კავკ. სას.-სამეურნეო გამოფენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი საგლეხო მეურნეობისათვის.

ამას ადასტურებს ისიც, რომ საგამოფენო კომიტეტმა მიანდო საქართველოს სახკინმრეწვს გადაიღოს გამოფენის დაწვრილებითი სურათი კინოსთვის. ფილმაში დაწვრილებით იქნება ნაჩვენები ყოველგვარი სახის იარაღ-მანქანების მუშაობა, დარღვევა, აწყობა, გაწმენდა და სხვა ასეთი წვრილმანები.

ეს სურათი ერთად-ერთი სურათი იქნება სასოფლო მეურნეობაზე, მთელ საბჭოთა კავშირში.

გარდა ამისა ეს იქნება შინაარსითაც უმდიდრესი სურათი, ვინაიდან ჯერ არსად არ ყოფილა გადაღებული ერთად ამდენი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობა.

აღნიშნული სურათი დიდათ შეუწყობს ხელს ხელისუფლებას ჩვენს, ჯერ კიდევ ჩამორჩენილ სოფლებში კულტურის ახალი სხივის შესატანათ. ამ სურათის გლეხობისათვის ჩვენების შემდეგ, ჩვენს აგრონომებსაც შესა ჩნევათ გაუადვილდებათ მუშაობა.

დ.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### როგორაა მოწყობილი სამყარო.

**სარწმუნოება და ცოდნა.**

ღვდლები ამბობენ, რომ— ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში გააჩინა ქვეყანა არაფრისაგანო და მეშვიდე დღეს დაისვენაო“. ღვდლებს რომ დაუჯეროთ, გამოდის, რომ ქვეყანაზე ახალი არაფერი ყოფილა. რამდენი ვარსკვლავიც გააჩინა ღმერთმა—იმდენი არის ეხლაც. ერთი სიტყვით სიცოცხლე ცხოლოდ დედამიწაზე არსებულა და სხვაგან კი საუკუნო უმოძრაობა და სიკვდილია გამეფებული. მაგრამ როგორც კი შეეკითხები ღვდელს,—თუ რას აკეთებდა ღმერთი ქვეყნის გაჩენამდე—გიპასუხებს:

— ილოცე და ირწმუნე!

აი აქ არის განსხვავება სარწმუნოებასა და მეცნიერების შორის.

ღვდელი ამბობს—გწამდესო —და ყველაფერია ეს, ხოლო მეცნიერება კი გვპასუხებს— ყველაფერს გაიგებ შენი გონების შემწეობითო.

რას გვეუბნება მეცნიერება ბუნების იმ კანონების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ვიცით დაკვირვების შემწეობით ქვეყნების გაჩენისა და მათი ისევ დაღუპვის შესახებ?

**როგორ ჩნდებიან ახალი ვარსკვლავები.**

ჩვენ ვიცით, რომ ვარსკვლავები განუწყვეტლად მოძრაობენ და მათი მოძრაობა უწესრიგოა. მაშასადამე სამყაროს სივრცეში შესაძლებელია მათი ერთმანეთისადმი დაჯახება. ჩვენი დაკვირვებები ცის თაღზე ამოწმებს თუ არა ამას? დაკვირვება ამას ამოწმებს.

დროგამოშვებით ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ენთებიან ცის თაღზე ახალი ვარსკვლავები და შემდეგ ისევ ჰქრებიან. ასე იყო 1901, 1918, 1920 და 1848 წ. წ. აღმოჩენილი იქნა 12 ახალი ვარსკვლავი.

როგორ ჩნდებიან ეს ახალი ვარსკვლავები? ცხადია, ორი ჩამქრალი, გაციებული ვარსკვლავები ეჯახება ერთმანეთს წარმოუდგენელი ძალით. ხდება აფეთქება—ვარსკვლავი ენთება. შემდეგ? შემდეგ ახალი ვარსკვლავის ადგილზე ფოტოგრაფიის საშვალებით ნახულობენ განათებულ ლაქას. ერთმანეთზე დაჯახებული ვარსკვლავები იქცევიან ბურუსიან გაურკვევლობათ და აქედან იწყება ახალი ქვეყნის ჩასახვა.

(გაგრძელება იქნება).

# ქიმიური „ომი“ ტფილისში.

**საცდელ-საჩვენებელი აღლუმი საბურთალოზე.**

12 მარტს რუსეთის დიდი რევოლიუციის მეცხრე წლის თავზე და ავიოქიმის არსებობის სამი წლის აღსანიშნავათ, საბურთალოზე გაიმართება ქიმიური ომის იმიტაცია (მიბაძვა). „ომში“ მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის გარნიზონის ქართულ-რუსული ნაწილები.

აღლუმის ადგილზე მოწყობილ იქნება ყოველგვარი სახის ხელოვნური დაბრკოლებანი (მავთულის ხლართები, ორმოები და სხვა).

ის ადგილი, სადაც იწარმოებს აღნიშნული საჩვენებელ-საცდელი ომი შემოფარგლულია 2 კილომეტრით. მახლობელ მაღლობზე მოთავსებული იქნებიან კერძო მაყურებლები. მაყურებლებათ მიწვეულ არიან ავიაქიმის საზოგადოების წევრები და კერძო მოქალაქენი.

თვით „ომის“ სურათი ასეთი იქნება: ერთ მაღლობ ადგილს გაამაგრებს ოცეული. მას დაესხმება „მოწინააღმდეგეს“ ასეული, რომელიც გზაზე აწარმოებს ხელოვნურ დაბრკოლებათა აფეთქებას. ამის საპასუხოთ დამხვედრი ოცეული გაუშვებს გაზს და მოსწამლავს მტერს. მტერი შეიარაღდება გაზის საწინააღმდეგო ნიღბებით და „ომიც“ გაგრძელდება. შემდეგ ჩაერევიან ცხენოსნები და არტილერია.

აღლუმი დაიწყება დღის 12 საათზე. მაყურებლებს ახსნა-განმარტებას მისცემენ სპეციალურათ დანიშნული პირები.

აღნიშნული აღლუმის მიზანია ხელი შეუწყოს ავიაქიმიის იდეის პოპულიარიზაციას ხალხში და მოქალაქეთა გასამხედროებას.

აღლუმს მართავს ტფილისის გარნიზონის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება.

„ომს“ უშუალოთ უხელმძღვანელებს ქ. მსრ. დივიზიის ქიმიური სამსახურის უფროსი ამხ. გამრეკლიძე.

დ.

# ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ ერთ ცალს ოთხი თვით სოფ. ონტოფოს ქოხსამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ონტოფოს კომკავშირის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ლევან ნადარეიშვილს, ქოხ-სამკითხველოს გამგე—შალვა ნადარეიშვილს, თემაღმასკომის თავმჯდომარე—დავითაიას, თემკომის პასუხისმგებელ მდივანს სარდიონ ნადარეიშვილს, ადგ. აფთიაქის პროვიზორს ქოიავას, მასწავლებლებს: ლიდა მუალოვას, მდინარაძეს, ბართლომე ნადარეიშვილს, ქსენია თოფურიას, კომპარტიის წევრებს: სარდიონ ნადარეიშვილს, გალაქტ. ნადარეიშვილს და არტემ ნადარეიშვილს.

იმედი მაქვს გამომეხმაურებიან ამხანაგები და გამოიწერენ ხსენებულ გაზეთს.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

# ამბები სოფლებიდან

**საკრედიტო ამხან გობა.** ს. ბოგდანოვკას (ახალქ. მ.) მოსახლე დუხობორებმა დაადგინეს ააგონ შენობა საკრედიტო ამხანაგობისთვის.

**დუშეთის სამაზრო გლეხკომმა** დაადგინა მოაწყოს ქალთა კუთხე.

**სესხ მეფუტკრეობას.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა მისცეს სესხათ მეფუტკრეთა ამხანაგობას 1000 მანეთი.

**ხიდის აგება.** სოფ. შემოქმედის (გურია) აღმასკომმა დაადგინა ააგოს ხიდი მდ. ჟუჟზე.

# პასუხი შეკითხვებზე.

**ფანცულაიას.** პროგრამები არის ძირითად ერთეულებში, სადაც უნდა ყოფილიყავით თქვენ გადაყვანილი პროგრამის შესასწავლად და საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩასაბარებლად.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

### ფოთის რაიონი.

უკლევის თემი. საბჭოს არჩევნები დამთავრდა. სათემო საბჭოში გავიდა 5 კომუნისტი და 1 ქალი.

პატარა ფოთის საბჭოში აირჩიეს 3 წარმომადგენელი. მათში ერთი კომკავშირელია.

### გორის მაზრა.

ატენის სათემო საბჭოში გავიდა 1 კომუნისტი და 1 ქალი. სულ საბჭოში აირჩიეს 34 წევრი.

ახალსოფლის საბჭოში აირჩიეს 38 დეპუტატი. მათში 2 კომ. და 36 უპარტიო.

### დუშეთის მაზრა.

ქ. დუშეთის საბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი. მათ[illegible] კომუნისტია და 3 ქალი.

### სენაკის მაზრა.

სოფ. დიდი ჭყონის, ზუს, ხორშის, სალხინოს, [illegible] ტოფოს, ახალ აბაშის, ლე[illegible] ძამის, მართვილის და თეკლა[illegible]თის. საბჭოში აირჩიეს სულ 35[illegible] დეპუტატი, რომელთაგან 10[illegible] კომუნისტია, 17 კომკავშირელი და 13 ქალი.

**ელიზბარიშვილს.** შეგიძლიათ უფროსის ნებართვით, თუ ეს არ შეუშლის ხელს სხვა წით. არმიელებს.

**კურსანტს—არტ.** მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას ახსნა განმარტებისთვის.

**ფოფხაძეს.** თუ ფიქრობთ, რომ უკანონოდ ხართ გამოწვეული შეგიძლიათ მიმართოთ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

**კიტიასნოხორელს.** არ გეკუთვნით.

**№-ს.** შეუძლია ორივე სასწავლებლების უფროსების თანხმობით.

**კომკავშირელს.** პარტსკოლაში შესვლისთვის საჭიროა, რომ თქვენმა სამხკომმა ამის შესახებ აღძრას თავის დროზე შუამდგომლობა.

**ბინაძეს.** სასამართლოს წესით შეგიძლიათ ზარალის ანაზღაურება.

**დამსწრეს.** მიმართეთ საკომენდანტო სამმართველოს ჯილდოების შესახებ.

**შავიძეს.** მუშფაკში უნდა გაგაგზავნოს რომელიმე ორგანიზაციამ.

**გორელს.** არ შეგიძლიათ, ერთი წელიწადი უნდა იმსახუროთ.

**ბაიხოძეს.** მეთაურს არ შეუძლია თავის პირად საქმეებზე გააგზავნოს წ. ა.

**შიკრიკს.** იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მოგეცეთ ტრამვაის ფული, ისე კი არა.

**დალაქიშვილს.** მიმართეთ დახმარებისთვის უზრუნველყოფის კომისარიატს.

**გ—ის.** ნაწილიდან-ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. პ. კახიძეს.** თქვენი წერილი სოფ. ოფჩის შესახებ გადაეგზავნა გაზ. „ახალ სოფელს“.

**ამხ. პარმენ ბურკაძეს.** სწერეთ სისტემატიურად წერილები და იქნებით ჩვენი სამხკორი.

**ამხ. ამხ. მხეიძეს და აპ. ბარაბაძეს, ალ. ნან—ლს და მეფარიშვილს.** თქვენი წერილები: „ცვალებადელებზე“, „სამოსწავლო წერტის შესახებ“ და „დღესასწაულების შესახებ“ არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ამხ. პატაშაურს, კვარაცხელიას, პაპიაშვილს და ჭყონიას.** თქვენი წერილები „საყარაულო შენობაში“, „მადლობის ღირსი არიან“, „4-ხე ლეგიონი და „5-თ ლეგ. სკოლის შესახებ“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთებისათვის.

**ამხ. ამხ. სულას და ვ. შარვაშიძეს.** თქვენი წერილები „მე-6 ლეგ. ცხოვრებაზე“ და დღესასწაულების შესახებ დაგვიანებულია. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. თარინან მათეშვილს.** თქვენი ლექსი—სიმღერას მოგახსენებ—არ გამოდგა. სწერეთ ნაწილების ცხოვრებაზე.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ხე-2 ლეგიონის მე-2 ათასეულის 5 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

სერგო ალექსის ძე პაპუაშვილს, დიანოზ კიმოთეს ძე ფიროსმანიშვილს, კონსტანტინე სტეფანეს ძე ვაშაყიძეს და კვარაცხელია ერმილე ვლადიმერის ძეს. გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

# განცხადება.

ხუთშაბათს 11 მარტს, დღის 12 საათზე წითელ არმიისა და ფლოტის სახლში დანიშნულია კლუბებისა და ბიბლიოთეკების მომუშავეთა კრება, 1 და 2 ქართ. დივიზიების ყველა კლუბის უფროსებისა და ბიბგამგეების დასწრება სავალდებულოა.

სკოლის გარეშე მუშაკების საგარნიზონო ბიუროს

წევრი ე. მურადოვა.



სამხედრო სტამბა კაცხოველის ქ. № 3.

დრ. პას უხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი